ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 7

ქ. თბილისი

23.05.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

3. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

4. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი;

5. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

6. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

7. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

8. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

9. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა

თეონა ზოიძე - სკოლის დირექტორი

ნელი ნასყიდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

ლიკა გიორგაძე - იურისტი

2. შპს არილი

რაჟდენ ხიმშიაშვილი - იურისტი

ინგა მაჩიტაძე - დამფუძნებელი

3. ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტი

ნ. მელქაძე - სკოლის წარმომადგენელი

ნანა ლომთაძე - დამფუძნებელი

4. შპს მზეკაბანი 2

ბელა გოცირიძე - დამფუძნებელი

ფიქრია ფეიქრიშვილი - სასწავლო ნაწილი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი

ქეთევან ბოტკოველი

ნოდარ ანგურიძე

ლევან ღურწკაია

ლელა ბუბაშვილი

ავთო აბდუშელიშვილი

ქეთევან ბაცანკალაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:20 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. შპს არილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს მზეკაბანი 2 -ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგია ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის მიერ წარმოდგენილი 2018-2019 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: სკოლის მისია და მისი მიღწევის სტრატეგია; სწავლა-სწავლების კონცეპტუალური საკითხები - სწავლა-სწავლების პრინციპები, სწავლა-სწავლების მიზნები და ამოცანები, სწავლების საფეხურების ამოცანები; სასწავლო პროცესის ორგანიზება - სრული ზოგადი განათლების საფეხურები, გაკვეთილებისა და შესვენებების ხანგრძლივობა, კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრა, სასწავლო წლის კალენდარი; სასკოლო საათობრივი ბადე; სკოლის საერთო კულტურა; მოსწავლეთა კლასის მრჩეველი- მუშაობის პრინციპები; საგნობრივი გაერთიანებები - ნუსხა, გაერთიანებებში შემავალი მასწავლებლების ფუნქციები, საგნობრივი გაერთიანების ხელმძღვანელის ფუნქციები; საგანმანათლებლო რესურსები - საგნმანათლებლო რესურსების ტიპები; გრიფირებული სახელმძღვანელოები; ინკლუზიური განათლება - სსსმ მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო

გეგმა და მისი შემუშავების ინსტრუქციები, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება, აღიარების დოკუმენტით ჩარიცხული მოსწავლის მიღების წესი; მოსწავლის შეფასება - მოსწავლის შეფასების მიზნები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, აკადემიური მიღწევის დონეები და ნიშნების წერის სისტემა, მოსწავლის შეფასების კომპონენტები, ქულების გამოანგარიშების წესი; კლასისა და საფეხურის დაძლევა; გამოცდის ტიპები; მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება; გაცდენები; სავალდებულო, არჩევითი და ფაკულტატური საგნები; აბიტურის საათები; ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; საგანმანათლებლო ღონისძიებები; სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის წესი. დანართები: საათობრივი ბადე, გაკვეთილების ცხრილი, არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვის/ანალიზის სტრატეგიები, საგამნათლებლო ღონისძიებების გეგმა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე. მოსწავლის შეფასების სისტემის ნაწილები იყო: მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა, საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, გაცდენები, გამოცდის ტიპები, ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, მოსწვალის აკადემიური მიღწევის აღიარება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასება შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შემუშავებული იყო განმავითარებელი შეფასების სტრატეგიები. დადგენილი იყო, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, ყველა კლასსა და საგანში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. მათი ეფექტიანად შესრულების ხარისხზე პასუხისმგებელი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პედაგოგებთან ერთად. დაგეგმილი იყო პერიოდული მონიტორინგი და მეთოდური დახმარებები, კონსულტაციების გაწევა მასწავლებლებისათვის. შემაჯამებელი დავალების მოთხოვნისა და შეფასების კრიტერიუმების მოსწავლეებისათვის გაცნობა დაგეგმილი იყო მასწავლებლების მიერ, წინასწარ, 2 ან 3 კვირით ადრე. აგრეთვე დაგეგმილი იყო ამ მიდგომების შესახებ მშობლების ინფორმირება. სკოლაში პრიორიტეტი ენიჭებოდა მოსწავლის თვითშეფასების უნარების განვითარების ხელშეწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, შპს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, კერძოდ, ორსართულიანი შენობა ეზოთი და სპორტული მოედნით. იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარე: შპს „ ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“ ს/კ 445519537, 10 წლის ვადით, მესაკუთრისაგან: შპს თაიმსერვისისა ს/კ 20450357 და შპს ვითი ჯგუფისაგან ფლობს 12 378.00 კვ. მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართს და მასზე განლაგებულ შენობა - ნაგებობებს.

სკოლის შენობა ორსართულიანი იყო, რომელშიც 25 საკლასო ოთახი და 3 კაბინეტ-ლაბორატორია იყო. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო მოსწავლის ინდივიდუალური სასკოლო მერხებითა და სკამებით, რომლებიც შეესაბამებოდა მოსწავლეთა ასაკს. კლასები აღჭურვილი იყო ინტერნეტით უზრუნველყოფილი 1 კომპიუტერით, პროექტორითა და ეკრანით, დაფებითა და სხვა სასწავლო აუცილებელი ინვენტარით. კლასებში განთავსებული იყო მერხები, სულ 450 ცალი, 4 სხვადასხვა ზომის მოსწავლის ინდივიდუალური მაგიდა/სკამით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო მოსწავლეთა კლასში მაქსიმალური რაოდენობა 18 მოსწავლე. პირველკლასელებისათვის განკუთვნილ საკლასო ოთახებში იგეგმებოდა დასვენებისა და დამოუკიდებელი აქტივობისათვის განკუთვნილი შემეცნებითი-გასართობი კუთხეების მოწყობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.3. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესს ემსახურებოდნენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კერძოდ, დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, დირექტორის ორი მოადგილე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, ადმინისტრაციული და სამეურნეო მენეჯერი, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, და 38 მასწავლებელი. მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის 38 მასწავლებლიდან 19 იყო უფროსი, ხოლო დანაჩენი - პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებელი.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილი იყო თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.

სკოლის ყველა მასწავლებელთან და თანამშრომელთან გაფორმებული იყო ხელშეკრულება კანონმდებლობოს სრული დაცვით.

სკოლას დაგეგმილი ჰქონდა, როგორც მასწავლებლებთან, ასევე მშობლებთან სამუშაო შეხვედრების ჩატარება, რაც დაეხმარებოდა მათ განვითარებაში. კერძოდ, მშობლებს იმ მიზნით, თუ, როგორ ითანამშრომლონ სკოლასთან და როგორ გამოხატონ მხარდაჭერა შვილებისადმი, ხოლო მასწავლებლებლებს პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. სასწავლო წლის დაწყების შემდეგ სკოლა გეგმავდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 450 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლას (ს/კ: 445519537) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

2. შპს არილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ნოდარ ანგურიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, შპს„არილი“ ფუნქციონირებდა ქ. ბათუმში თაყაიშვილის ქ. N36/38-შიმდებარე მრავალსართულიანი შენობის ორ სხვადასხვა სართულზე. სართულებიდან ერთი მათგანი, ე.წ. ნულოვანი სართული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დაფიქსირებული იყო კომერციულ ფართად (260,09 კვ.მ.), ხოლო მეორე - მეორე სართულად (369,57 კვ.მ.). მათ შორის არსებული პირველი სართული გამოიყენებოდა ავტოსადგომად. ორივე სართულზე შესვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ შენობის საერთო სადარბაზო კარის გავლით, რომლის შემდეგ კომერციული ფართი იქვე, დერეფნის ბოლოში იყო, ხოლო მეორე სართულის ფართში მოხვედრა შესაძლებელი იყო საერთო კიბით ან/და ლიფტით, რომლითაც ასევე სარგებლობდნენ შენობის ზედა სართულების მაცხოვრებლები. თითოეულ ფართს ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი კარი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კორპუსი, რომელშიც სკოლა ფუნქციონირებდა, მშენებარე იყო, თუმცა ვიზიტის პერიოდში სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობდა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ სკოლის ავტორიზაციის დროს სკოლის წარმომადგენლები დაპირდნენ საბჭოს წევრებს, რომ გააკეთებნენ ცალკე შესასვლელს, რომლითაც ისარგებლებდა მხოლოდ სკოლა და დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, რატომ არ შეასრულა სკოლამ დანაპირები.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, იმის გამო, რომ შენობა ჯერ კიდევ არ იყო ჩაბარებული და ითვლებოდა მშენებარედ, მათ ვერ მოახერხეს ცალკე შესასვლელის გაკეთება.

საბჭოს წევრმა, მარინა უშვერიძემ განაცხადა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სკოლას შეეძლო ბათუმის მერიასთან შეთანხმებით შეეტანა ცვლილება პროექტში და გაეკეთებინა ცალკე შესასვლელი. მარინა უშვერიძის აზრით, ცალკე შესასვლელი კარის არ გაკეთება დაკავშირებული იყო ბიუროკრატიულ პროცესთან და თანხის გადახდის საჭიროებასთან, თუმცა ის ამის აუცილებლობას ხედავდა ბავშვთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე. გამოთქმულ აზრს დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან დააყენეს შუამდგომლობა, რომ საკითხის ბოლომდე განხილვის შემდეგ, სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დაწესებულებას მისცემდნენ ვადას ცალკე შესასვლელების გასაკეთებლად მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე, ხოლო ცენტრი განახორციელებდა მონიტორინგს და ხარვეზის კვლავ არსებობის შემთხვევაში სკოლას გაუუქმდებოდა ავტორიზაცია.

ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის თქმით, ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა, რომ სკოლას რეალურად ჰქონდა 146 ერთადგილიანი მერხი და 130 სკამი. ავტორიზაციით მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრებოდა 160-ით, თუმცა მას შესყიდვის დოკუმენტაციით უდასტურდებოდა 222 სკამის ფლობა.

სკოლამ დამატებით წარმოადგინა ხელშეკრულება 30 მერხისა და სკამის შესყიდვაზე და მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდებოდა „მომსახურეობის ნაწილის“ ჩაბარება. ხელშეკრულება დადებული იყო 2015 წელს ავტორიზაციის მიღების პერიოდში ი.მ დავით ძნელაძესთან და დღემდე არ იყო მიწოდება ბოლომდე განხორციელებული. სკოლამაც განაცხადა, რომ მათ თანხა სრულად არ ჰქონდათ გადახდილი და ვალი ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა განემარტა საბჭოსთვის, რატომ არ მოხდა მერხებისა და სკამების დროულად მიწოდება.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანხა ამ დროისთვის გადახდილი იყო, ხოლო რაც შეეხებოდა მერხების მიწოდებას, იმის გამო, რომ ამ დროისთვის მოსწავლეების რაოდენობიდან გამომდინარე სკოლა არ საჭიროებდა მეტი მერხის ქონას, მათ არ მოითხოვეს დამატებით მერხების მოწოდება ამ ეტაპზე. გარდა ამისა, გარკვეული რაოდენობის სკამები და მერხები შესაკეთებლად იყო წაღებული.

ექსპერტის თქმით, სადარბაზოს შესასვლელთან სკოლას არ ჰქონდა კამერები დამონტაჟებული, თუმცა იქ დამონტაჟებული იყო 3 კამერა. როგორც დირექტორმა განმარტა, კამერები დამონტაჟებული იყო შენობის მეპატრონის - ამხანაგობა „ჩემი სახლის" მიერ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ეთხოვა კამერების მეპატრონისთვის, კამერებიდან წამოსული სიგნალის გაზიარების შესახებ, რათა სკოლას საშუალება მისცემოდა მომსვლელები ვიზუალურადაც დაენახა. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება, რომელშიც ჩაწერილი იყო, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე ნებას რთავდა შპს არილის დამფუძნებელს საჭიროების შემთხვევაში წვდომა ჰქონოდა კამერების ჩანაწერებთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების შედგენის თარიღი და მოქმედების ვადა უცნობი იყო, და არც ის სანქციები იყო განსაზღვრული , რომელიც დაეკისრებოდა მხარეს პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში. გარდა ამ კამერებისა, სკოლას საკუთარი კარის შესასვლელებზე და კიბის უჯრედის მხარეს დამონტაჟებული ჰქონდა თითო კამერა, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამებოდა მოთხოვნილ პარამეტრებს. გარდა ამისა, სკოლის ორივე სართულის შიდა პერიმეტრზე იყო ორ-ორი სამეთვალყურეო კამერა. კამერების გამოსახულების ასახვა და ჩაწერა ხორციელდებოდა სამასწავლებლოში არსებულ კომპიუტერზე. ვიზიტის პერიოდში ერთი შიდა კამერა გათიშული იყო და საჭიროებდა შეკეთებას. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, კამერა უკვე შეკეთებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არილის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 3

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს არილის (ს/კ:445387778) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლევან ღურწკაიამ და ლელა ბუბაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ ლელა ბუბაშვილის განცხადებით, ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია „ინტელექტთან" არსებული კერძო სკოლა „ინტელექტი"-ს 2017-18 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილული და დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 06 სექტემბრის N1 სხდომაზე. დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმა არ წარმოუდგენია ერთიანი დოკუმენტის სახით, დანომრილი ნაწილებითა და დანართებით. თუმცა წარმოადგინა სკოლის სასწავლო გეგმის ცალკეული ნაწილები, რომლებიც დამტკიცებული იყო უფლებამოსილი პირის, კონკრეტულად კი დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით და რომელიც შინაარსითა და სტრუქტურით შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში გაერთიანებული იყო სკოლის შინაგანაწესი. ვიზიტის ფარგლებში მოხდა სასწავლო გეგმისა და შინაგანაწესის განცალკევება.

წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული, რომელიც აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი არ იყო წარმოდგენილი ცალკე დოკუმენტის სახით, თუმცა ისინი მოცემული იყო სასკოლო გეგმაში.

სკოლა XII კლასის მოსწავლეებს სთავაზობდა საგანს: „ზოგადი უნარები", რომელსაც დათმობილი ჰქონდა კვირაში 4 საათი.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ ასწავლიდნენ ზოგად უნარებს, როგორც საგანს. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ გამოასწორეს აღნიშნული ხარვეზი.

ექსპერტის თქმით, საათობრივ ბადეს, ცხრილსა და საკლასო ჟურნალებს შორის იყო რამდენიმე შეუსაბამობა. მაგალითად: საათობრივ ბადეში X კლასში ინგლისური ენის სწავლება უნდა განხორციელებულიყო 2 სთ. კვირეული დატვირთვით, ცხრილში გაწერილი იყო 2სთ., ჟურნალის მიხედვით უტარდებოდათ 3სთ. ასევე, საათობრივ ბადეში X კლასში ბიოლოგიის სწავლება განხორციელებულიყოს 3 სთ კვირეული დატვირთვით, ცხრილში გაწერილი იყო 3სთ. ჟურნალის მიხედვით არ დგინდებოდა შესაბამისობა, რადგან მასწავლებელს არ ჰქონდა შეტანილი არანაირი ინფორმაცია პირველი სემესტრიდან დღემდე.არც თარიღები, არც შეფასებები, არც გაცდენები. ვიზიტის განმავლობაში მასწავლებელმა შეავსო ჟურნალი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ კლასს უტარდებოდა 3სთ კვირაში, თუმცა ვიზიტის განმავლობაში შეცვლილ ცხრილში ბიოლოგიის სწავლება ხდებოდა 2სთ კვირაში.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, როგორ მოახედინეს მოსწავლეებისთვის საშუალო ნიშნის გამოყვანა, როცა მასწავლებელმა არ შეავსო ჟურნალი და არ აღრიცხა გაცდენები. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ზემოაღნიშნულ კლასში ერთი მოსწავლე ირიცხებოდა, რომელიც ექსტერნის წესით აბარებდა გამოცდებს. რაც შეეხებოდა ნიშანს, სკოლის წარმომადგენლის თქმით მასწავლებელი აწარმოებდა უბის წიგნაკში ნიშნებისა და გაცდენების აღრიცხვას, რომელიც ამ დროისთვის გადატანილი იყო ჟურნალში.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ უბის წიგნაკში აღრიცხული ნიშნები და გაცდენები ვერანაირად ვერ იქნებოდა რეალური და აღნიშნული ჟურნალის წარმოების წესის დარღვევა იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

18:00 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ.

3.2. ექსპერტ ლევან ღურწკაიას განცხადებით, სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი ერთ სივრცეში იყო. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი იყო 905 ერთეული. ბიბლიოთეკაში არ იყო სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი და ვიზიტის პერიოდში გაწეული რეკომენდაციის შემდეგაც ვერ მოხდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სახელმძღვანელოებით შევსება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლები შეეცადნენ იმ სახელმძღვანელოების შეძენას, რომელიც აკლდათ, მაგრამ ვერ მოხერხდა მათი შოვნა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ამ დროისთვის ყველა საჭირო სახელმძღვანელო შეიძინეს და ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.

ექსპერტის თქმით, სკოლას შეძენილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორა ნაწილ-ნაწილ სხვადასხვა დროს, ნაწილიც ჰქონდა ჩუქების აქტით დადასტურებული. მოხდა ლაბორატორიის შედარება სახლმწიფო სტანდარტთან. ლაბორატორია შესაბამისობაში იყო.

ვინაიდან სკოლას მისამართი ახალ შეცვლილი ჰქონდა, ლაბორატორია იყო დასაწყობებული.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ლაბორატორია უკვე მოწესრიგებული იყო და ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ 18:40 საათზე გამოაცხადა შესვენება.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 19:00 საათზე.

საბჭომ იმსჯელა და ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა, რომ სკოლაში მომავალ სასწავლო წელს განხორციელებულიყო მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 2

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საერთაშორისო ასოციაცია ინტელექტთან არსებული კერძო სკოლა ინტელექტის (ს/კ:212708747) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს მზეკაბანი 2 -ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ავთო აბდუშელიშვილმა და ქეთევან ბაცანკალაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ ავთო აბდუშელიშვილის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზტის დროს სკოლა განთვსებული იყო ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, ხოლო პირველ სართულზე განთავსებული იყო საბავშო ბაღი. საბავშვო ბაღსა და სკოლას ჰქონდა საერთო შესასვლელი და საბავშვო ბაღისა და სკოლის ფართი ფიზიკურად გამიჯნული არ იყო, თუმცა ავტორიზაციის გავლის პერიოდში საბჭომ სკოლას დაავალა ფართის გამიჯვნა.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ გამიჯნა საბავშვო ბაღის და სკოლის ტერიტორია. გამიჯვნის შემდეგ საბავშვო ბაღი მდებარეობდა შენობის პირველი სართულის ნახევარში, სასაბავშვო ბაღს ჰქონდა ცალკე შესასვლელი და სკოლისგან იზოლირებული სივრცე. სკოლის პირველი სართულის მეორე ნახევრში განთავსდა სკოლის საკლასო ოთახები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ იყო გამიჯნული სკოლისა და ბაღის ტერიტორია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტამდე. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რამოდენიმეჯერ მიმართა მერიის ზედამხედველობის სამსახურს და არ მისცეს

კარის გამოჭრის უფლება, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ კანონი შეიცვალა და მათ შეძლეს ფართის გამიჯვნა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა ეჩვენებინა მერიისადმი მიმართვის დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტთა ვიზიტამდე განხორციელდა. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მას ჰქონდა ზეპირი კომუნიკაცია მერიის ზედამხედველობის სამსახურთან, ხოლო ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ გაგზავნილი წერილი ფართის გამიჯვნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო საბჭოზე, რის საფუძველზეც სკოლამ მოახერხა ფართის გამიჯვნა.

ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, მას ჰქონდა ეჭვი, რომ არ განხორციელებულიყო მონიტორინგის ვიზიტი დაწესებულებაში, სკოლასა და ბაღს ისევ საერთო შესასვლელი ექნებოდა.

ექსერტის თქმით, მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 10 საკლასო ოთახში, კომპიუტერული კლასსა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, რომელშიც ასევე განთავსებული იყო სკოლის მე-11 კლასი. მე-3 კლასის საკლასო ოთახში არ იყო ბუნებრივი განათებისა და ჰაერის განიავების საშუალება. სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, შენობის პირველ სართულზე მოაწყო დამატებით 2 საკლასო ოთახი და აღნიშნული კლასები შესაბამისად გადაანაწილა კეთილმოწყობილ საკლასო ოთახებში.

დაწესებულებას შპს „მზეკაბანისგან" შეძენილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო აღჭურვილობა. შენობის მეორე სართულზე განთავსებული იყო ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორია. ლაბორატორიას ჰქონდა საცავი, სადაც ინახებოდა ძირითადი აღჭურვიობა. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებული არ იყო სველი წერტილი, კერძოდ ცენტრალური წყლის სისტემა. სკოლის დირექციის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში აღნიშნული სისტემა დაზიანებული იყო და დროებით განხორციელდა მისი დემონტაჟი და ამ დროისთვის ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო.

ექსპერტის განცხადებით,

დაწესებულებას ჰქონდა ერთი ძირითადი შესასვლელი, რომელიც კონტროლდებოდა 2 ვიდეო თვალით. ასევე დამატებით ერთი ვიდეოთვალით კონტროლდებოდა სათადარიგო გასასვლელი და სკოლის ეზოში მდებარე სპორტული მოედნი. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პერიოდში შესყიდული იქნა დამატებით 2 ვიდეოთავლი შენობის უკანა პერიმეტრის გასაკონტროლებლად.

სკოლის შენობის მეორე სართულზე დამონტაჟებული იყო 2 სამეთვალყურეო შიდა კამერა. სკოლის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული კამერები შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების ტექნიკურ პარამეტრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.2. ექსპერტ ავთო აბდუშელიშვილის განცხადებით, შპს მზეკაბანი 2-ში მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით ირიცხებოდა 61 მოსწავლე. სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში სულ 38 თანამშრომელი იყო. მათ შორის 22 მასწავლებელი. დანარჩენი 16 პირი სკოლის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ რგოლს წარმოადგენდნენ. 22 პედაგოგიდან 14 პედაგოგი ჩართული იყო მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დარჩენილი 8 პედაგოგიდან ერთ მასწავლებელს გავლილი ჰქონდა პედაგოგის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა და იგი ამჟამად დარეგისტრირებული იყო საგნის გამოცდაზე. ასევეა დარეგისტრირებული იყო 5 პირი საგნისა და მასწავლებლის პორფესიული უნარის გამოცდებზე. მხოლოდ სპორტისა და ჭადრაკის პედაგოგები არ იყვნენ დარეგისტრირებული მიმდინარე წელს მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდებზე.

სკოლის წარმომადგენლების განცხადებით სპორტის მასწავლებელი გადაყვანილ იქნა გახანგრძლივებულის მასწავლებლად, ხოლო ჭადრაკის მასწავლებელი იყო თანრიგოსანი და ჰქონდა ჭადრაკის ფედერაციიდან შესაბამისი სერტიფიკატი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მზეკაბანი 2 - ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მზეკაბანი 2 - ის (ს/კ:416306143) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა 20:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

თამილა ჩუბინიძე